

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 52

ქ. თბილისი

22.11.2018

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარე);

ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

სოფიკო ლობჯანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი, სხდომის მდივანი;

ლევან გორდუზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

თეო ურუშაძე - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;

გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;

გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;

პაატა ბრეკაშვილი - შპს კავკასიის უნივერსიტეტის კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტის დირექტორი;

გიორგი თურქია - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი;

ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი;

გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

ირინა გოცირიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მალტვის სისტემების ფაკულტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

სერგო ვარდოსანიძე - რექტორი;

პაატა გოგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ლევან ჯიქია - ფაკულტეტის დეკანი.

შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია

ლიანა ჭოველიძე - რექტორი;

მარინე კობალავა - პრორექტორი;

ნინო ბოჭორიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

მაია ვასაძე - ბიბლიოთეკარი;

მერაბ მიქელაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;

ვახტანგ ანთია - მოწვეული სპეციალისტი.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნინო ჟვანია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნინო პატარაია - ბიზნესის სკოლის ასოცირებული პროფესორი;

გიორგი ხიშტოვანი - ბიზნესის სკოლის ასოცირებული პროფესორი;

ნინო დოლიძე - ბიზნესის სკოლის ასოცირებული პროფესორი;

მარიამ კიკნაველიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ანი თოფურია - ბიზნესის სკოლის კურიკულუმის ექსპერტი;

გიორგი პაპავა - ბიზნესის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნიკოლოზ ყაველაშვილი - ბიზნესის სკოლის პროფესორი.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ზურაბ ბაიაშვილი - ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

დავით ნატროშვილი - მათემატიკის დეპარტამენტის უფროსი;

შოთა ზაზაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

ერეკლე ასტახიშვილი;

მალხაზ თორია;

ანა გვრიტიშვილი;

გოჩა თუთბერიძე;

მერაბ ხოხობაია;

დავით ბურჯანაძე;

სალომე მალუმე;

ანზორ ბერიძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:25 საათზე. აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს, ლევან გორდუზიანს. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიას ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტის (ხელოვნების) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ცენტრის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-4 და მე-5 საკითხები განხილულიყო საბჭოს შემდეგ სხდომაზე. საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნული შუამდგომლობის დაკმაყოფილება შესაძლებელი იყო. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს დამსწრე წევრებმაც.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო განახლებული დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. შპს უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიას ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

წარმოდგენილი დღის წესრიგი საბჭოს მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული.



1. ა(ა)იპ- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ისტორია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ისტორიაში 1004
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

საბჭოს სხდომაზე სატელეფონო ზარით ჩაერთო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ერეკლე ასტახიშვილი და საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სასწავლო პრაქტიკული კომპონენტის შემუშავება და დანერგვა (პრაქტიკა, საზაფხულო სკოლა, ექსპედიცია და ა.შ.);
- ამოღებული იქნას რუსული ენა სწავლის პროცესში საუნივერსიტეტო სავალდებულო ენების ბლოკიდან და გადატანილი იქნას არჩევით საგნებში;
- მოხდეს თანამედროვე სასწავლო და სამეცნიერო უცხოენოვანი ლიტერატურის ასახვა სილაბუსებში;

- განახლდეს სილაბუსებში ლიტერატურა და გამოირიცხოს ონლაინ ენციკლოპედიების (მაგ. ვიკიპედია) მასალების მითითება ლიტერატურის ჩამონათვალში;
- განახლდეს ახლო აღმოსავლეთის ისტორიის კურსი;
- გაცვლითი პროგრამების ამოქმედება და საერთაშორისო კუთხით პროგრამის გააქტიურება; სტუდენტების მონაწილეობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში თუ პროექტებში;
- გარე დამსაქმებელთა ბაზის შექმნა. (პროგრამაში მოწვეული ლექტორების სახით არსებული დამსაქმებლების გარდა, სხვა დამსაქმებლების მოძიება და აქტიური თანამშრომლობა).

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რჩევებიდან ზოგიერთი რეკომენდაციის ხასიათს ატარებდა, მაგალითად, როგორც იყო:

- სასურველია პროგრამას დაემატოს ისტორიის შესავალი კურსი, სადაც განხილული იქნება ისტორიული აზროვნების და საისტორიო მეცნიერების ძირითადი ეტაპები, სკოლები და მიმდინარეობები.

სატელეფონო ზარით ჩაერთო ასევე ექსპერტთა ჯგუფის წევრი მალხაზ თორია, რომელმაც აღნიშნა, რომ თუ დაწესებულება გაითვალისწინებდა ექსპერტთა ჯგუფის რჩევებსა და რეკომენდაციებს პროგრამას სასიკეთოდ წაადგებოდა. მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის პროფესურა უშუალოდ იყო ჩართული საინტერესო ექსპედიციებში და კარგი იქნებოდა სტუდენტებიც ჩაერთოთ ამ ღონისძიებებში. მისი თქმით უმჯობესი იქნებოდა რუსული ენის სასწავლო კურსი გადატანილი ყოფილიყო არჩევით ბლოკში და სტუდენტებისთვის შეეთავაზებინათ გაძლიერებული ინგლისური ენა, რაც წყაროებზე მუშაობის დროსაც უფრო წაადგებოდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს გამოეთქვათ თავიანთი აზრი დასკვნაში დაფიქსირებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რუსული ენა არ იყო სავალდებულო სასწავლო კურსი, სავალდებულო იყო ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული ენებიდან ერთ-ერთი რომელიმე ენის B2 დონეზე დაუფლება. დაწესებულების წარმომადგენლები ეთანხმებოდნენ ექსპერტებს, რომ ინგლისური ენის არჩევა სტუდენტისთვის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა.

საბჭოს წევრი, სოფიკო ლოპუჯანიძე დაინტერესდა თუ სტუდენტი ერთ-ერთ ენას აირჩევდა მაგალითად რუსულს ან გერმანულს მას არ ეცოდინებოდა ინგლისური.

საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ დაამატა, რომ ისტორიკოსს უნდა სცოდნოდა ორი ენა B2 დონეზე. ერთი აუცილებლად ინგლისური და მეორე მისი სურვილისამებრ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლევან ჯიქიამ აღნიშნა, რომ თავისუფალი კრედიტებიდან შეეძლო სტუდენტს აერჩია დამატებით მისთვის სასურველი უცხო ენა.

საბჭოს წევრი გელა გელაშვილი დაინტერესდა სტუდენტების რა რაოდენობა ირჩევდა რუსულ ენას. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა, პაატა გოგიშვილმა უპასუხა, რომ ძირითად უცხო ენად არც ისე დიდი რაოდენობა სტუდენტებისა, თუმცა მეორე უცხო ენად ყოველთვის რუსულს ირჩევდნენ. სტუდენტების დიდი ნაწილის ინტერესის სფეროს წარმოადგენდა მე-19- მე-20 საუკუნე, სადაც ბევრი დაუმუშავებელი მასალა არსებობდა და ამ მასალებზე მუშაობა რუსული ენის ცოდნის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ საკონსულტაციო საათები პროფესორების ხელშეკრულებაში იყო გათვალისწინებული. სტუდენტებისათვის კი ცალკე

ცხრილი იყო საკონსულტაციო საათების შესახებ, სადაც გაწერილი იყო კვირის დღეები და საათები, რომელიც გამოკრული იყო უნივერსიტეტში.

პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამაში შემავალი ზოგიერთი სასწავლო კურსი ითვალისწინებდა პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. სავალდებულო იყო სადიპლომო ნაშრომი, სადაც სტუდენტი სწავლობდა, როგორ შეექმნა ნაშრომის სტრუქტურა, როგორ მიეთითებინა ლიტერატურა და ა.შ. არჩევით ბლოკში იყო სასწავლო კურსი „საარქივო სამუზეუმო საქმე“, რომლის ფარგლებშიც ადგილზე ხდებოდა მტელი საქმის გაცნობა. თუმცა სილაბუსში პრაქტიკის კომპონენტის დაფისქირება ქმნიდა პრობლემას.

უცხოენოვანი ლიტერატურის დამატებასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბაკალავრიატში მიიჩნევდნენ, რომ მიზანშეწონილი იყო ქართულენოვანი ლიტერატურა, თუმცა ექსპერტების მოსაზრებას გაიზიარებდნენ და სამომავლოდ დაამატებდნენ უცხოენოვანსაც. მისი თქმით, განახლდა ახლო აღმოსავლეთის ისტორიის კურსი და დაემატა რამდენიმე ქვეყნის ისტორია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ მემორანდუმები ჰქონდათ გაფორმებული თურქეთის, ირანის, ჩინეთის უნივერსიტეტებთან. ასევე იგეგმებოდა ამერიკულ უნივერსიტეტებთანაც თანამშრომლობის დამყარება, თუმცა აღნიშნული საკითხი ჯერ-ჯერობით არ იყო დასრულებული.

პროგრამის კურსდამთავრებულები დასაქმებულები იყვნენ მუზეუმებში, არქივებში, ბევრმა სწავლა გააგრძელა ამავე უნივერსიტეტში.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა დამატებით აღნიშნა, რომ Wikipedia-ს მითითება სილაბუსში როგორც წყარო მიუღებელი იყო. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული უზუსტობა უკვე გამოსწორებული იყო.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლოზუანიძემ აღნიშნა, რომ ყველა სილაბუსში შეფასების წესი იყო იდენტური. ეს უნდა ყოფილიყო სპეციფიური.

საბჭოს წევრ ლევან გორდეზიანს ჰქონდა რჩევები პროგრამასთან დაკავშირებით: პროგრამას დაემატოს „ისტორიის შესავალი“ და რამდენიმე თეორიული/ მეთოდოლოგიური საგანი, რაც ზოგად წარმოდგენას შეუქმნიდა სტუდენტს იმის შესახებ, თუ რაში მდგომარეობდა მისი მომავალი ხელობა. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ პროგრამაში საქართველოს ისტორია ბევრად უკეთ იყო წარმოდგენილი, ვიდრე მსოფლიო ისტორია და გამოთქვა სურვილი, რომ ბალანსი მეტნაკლებად მაინც ყოფილიყო დაცული.

15:00 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება

სხდომა განახლდა - 15:15 საათზე.

საბჭომ მიიჩნია, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემული შეფასებები უნდა დარჩენილიყო უცვლელად. აქედან გამომდინარე, ვინაიდან, პროგრამა 2 სტანდარტთან მიმართებით ფასდებოდა, როგორც მეტწილად შესაბამისი, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3¹ პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განუსაზღვრა 1 წელი.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭო შუამდგომლობდა ცენტრის წინაშე, რომ 1 წლის განმავლობაში პროგრამაზე ასევე განხორციელებულიყო მონიტორინგი და გადამოწმებულიყო გამოსწორდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული და საბჭოს სხდომაზე გამოთქმული რეკომენდაციები. საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებას განუცხადა, რომ ამ დროის მანძილზე უნდა ეზრუნათ ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებაზე.

2. შპს უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიას ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო დასახელება	პროგრამის	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური		ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი, 02
სწავლების ენა		ქართული
კრედიტების რაოდენობა		240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ პროგრამა შესაბამისობაში იყო პირველი და მეხუთე სტანდარტების მოთხოვნებთან, მიუხედავად იმისა, რომ 1.1 კომპონენტი შეფასებული იყო, როგორც მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან, რადგანაც აღნიშნული სტანდარტის 2.2 და 2.4 კომპონენტები შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან, ხოლო 2.3 - ნაწილობრივ შესაბამისად. მესამე და მეოთხე სტანდარტებიც შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტებთან, რადგან ექსპერტების შეფასებით, ყველა კომპონენტი (3.1, 4.1, 4.2, 4.3, 4.4) მეტწილად აკმაყოფილებდა დადგენილ მოთხოვნებს.



ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები გოჩა თუთბერიძემ წარმოადგინა. ექსპერტების მოსაზრებით, საჭირო იყო:

- პროგრამის მიზნების რეალიზაციისათვის დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზაცია ან ისეთი მარკეტინგული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, რომელიც გაზრდიდა სასწავლებლის ცნობადობას და გამოიწვევდა სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდას;
- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმას სავალდებულო სასწავლო კურსის სახით ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის კურსების დამატება;
- საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წინაპირობის ნათლად და გასაგებად განსაზღვრა;
- პროგრამის განმახორციელებლებს უნდა უზრუნველყოთ პროგრამის სწავლის შედეგებიდან და სასწავლო კურსების სწავლის მიზნებიდან გამომდინარე, სწავლის გაზომვადი და შეფასებადი შედეგების ფორმულირება სილაბუსებში (ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, მაკროეკონომიკა, ინვესტირების საფუძვლები, მარკეტინგის მენეჯმენტი);
- სასწავლო კურსების სწავლების მიზნებს უნდა აესაზღვრათ თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკა და შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო პროგრამის სწავლის მიზნებთან და შედეგებთან;
- კრედიტების განაწილება სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე;
- სასწავლო დაწესებულება უნდა გაეაქტიურებინა მუშაობა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობდა როგორც სტუდენტების, ასევე აკადემიური პერსონალის განვითარებას;
- დაწესებულებას უნდა გაეღრმავებინა სხვადასხვა სასწავლებლებთან კომუნიკაცია, რათა სტუდენტებს შეძლებოდათ ესარგებლათ საერთაშორისო მობილობით, ასევე ჩართულიყვნენ საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში და კვლევებში;
- ადამიანური რესურსის ოპტიმიზაციის, ასევე სამომავლოდ მუშაობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, სასწავლებელს უნდა გაეზარდა აკადემიური პერსონალის რაოდენობა, ასევე გაზარდოს აფილირებული პროფესორების მოტივაცია და დაინტერესება. მოეზიდა კონკრეტული სეგმენტი და მაქსიმალურად შეეწყო ხელი მათი განვითარება/გადამზადებისათვის, ასევე უზრუნველყო აკადემიური პერსონალის ჩართულობა შესაბამის საგნობრივ ტრენინგებსა და კონფერენციებში;
- საჭირო იყო, გამოყოფილიყო მეტი ფინანსური რესურსი და მეტი ძალისხმევა გაწეულიყო, აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კონფერენციებში ჩართულობის კუთხით;
- ადმინისტრაციას უნდა გამოეყო შესაბამისი რესურსი, უცხოენოვანი ლიტერატურის შესაძენად;
- სასწავლებელს უნდა გამოენახა დაფინანსების ალტერნატიული გზები, სასწავლო პროგრამების დამატების ხარჯზე;
- სტუდენტების მოზიდვის მიზნით, საჭირო იყო გაცვლითი პროგრამების შემუშავება. ასევე, გონივრული იქნებოდა, გადაეხედათ ბიუჯეტის ხარჯების ნაწილისთვის და მომხდარიყო ხარჯების ოპტიმიზაცია საჭიროების მიხედვით.

საბჭოს წევრმა, ირაკლი ბურდულმა გამოთქვა მოსაზრება, რომ მისთვის გაუგებარი იყო, როგორ გამოდიოდა პროგრამა მეტწილად შესაბამისი სტანდარტებთან, როდესაც აკადემიური პერსონალიც გასამდიერებელი იყო, ინტერნაციონალიზაციის ხარისხი არ იყო დამაკმაყოფილებელი, არც სტუდენტები და აკ. პერსონალი მონაწილეობდა საერთაშორისო ღონისძიებებში და ექსპერტებს შენიშვნა ფინანსების კუთხითაც ჰქონდათ.

საბჭოს წევრი, გელა გელაშვილი დაინტერესდა, რამ გამოიწვია მცირე კონტინგენტის არსებობა, როდესაც ბიზნესის ადმინისტრირების სხვა პროგრამებზე მოთხოვნა დიდი იყო.

ექსპერტმა, გოჩა თუთბერიძემ უპასუხა, რომ უნივერსიტეტს შეეცვალა სტატუსი, გახდა კოლეჯი, რის გამოც, კონტინგენტი შემცირდა, თუმცა პერსონალი ძალიან მოტივირებული იყო, განსაკუთრებით მოწვეულ პედაგოგებზე ჰქონდა საუბარი, რომლებიც ამავე დროს სხვადასხვა უნივერსიტეტების პროფესორები იყვნენ. მათ გამოხატეს მზაობა, რომ არ შეწყვეტდნენ უნივერსიტეტთან თანამშრომლობას, თუმცა მიუხედავად ამისა, სასწავლებელს უნდა ეზრუნა საკუთარ აფილირებულ პროფესურაზე.

ირაკლი ბურდული დაინტერესდა, რომელ ფაკულტეტზე ხორციელებოდა პროგრამა. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ კოლეჯში მხოლოდ ერთი, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი არსებობდა.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, როგორ იყო პროგრამა თვითკმარი.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ 200 მდე სტუდენტი ჰყავდათ. ბევრი გადმოდიოდა მობილობით და მართლაც, ერთი მხრივ უნივერსიტეტის სტატუსის შეცვლამ და გარდამავალმა პერიოდმა, როდესაც დაწესებულებას ავტორიზაცია უწევდა, ზეგავლენა მოახდინა მისაღებ კონტინგენტზე და ბოლო პერიოდში ჩარიცხულთა რაოდენობა შეადგენდა 17, 25 და 7-ს.

ნათელა სახოკია დაინტერესდა, რატომ გადმოდიოდნენ სტუდენტები მობილობით, რა იყო მათი ინტერესი.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დაკომპლექტება ეროვნული გამოცდების პირველადი განაცხადის მიხედვით არ მომხდარა. მათთვის გაუგებარი იყო, როდესაც მოთხოვნა 125 ადამიანს ჰქონდა დაფიქსირებული აღნიშნულ პროგრამაზე, საბოლოოდ 6 რატომ იყო ჩარიცხული.

ირაკლი ბურდულმა აღნიშნა, რომ საბჭოს 300 მდე პროგრამის განხილვის პერიოდში ასეთი პრობლემა არავის ჰქონდა დაფიქსირებული, თუმცა აღნიშნული საკითხი სცდებოდა აკრედიტაციის საბჭოს უფლებამოსილებას.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მათ წინა დღეს მიენიჭათ ავტორიზაცია და ჰყავდათ პარტნიორი უნივერსიტეტი ბალტიის საერთაშორისო აკადემიის სახით. მათ თანამშრომლობა გამოიხატებოდა ორმაგი ხარისხის მექონე პროგრამის შემუშავებაში სამომავლოდ. ასევე, აპირებდნენ პროფესიული პროგრამების დამატებას მე-4 და მე-5 საფეხურების, გარდა ამისა, დადებითად შეაფასეს ცვლილება, რომლის მიხედვითაც საბაკალავრო პროგრამა 3-წლიანი შეიძლება გახდარიყო და ეს ხელს შეუწყობდა მათ პარტნიორ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის მხრივ. მან დაამატა, რომ ბალტიის საერთაშორისო აკადემიას ჰყავდა 8000 სტუდენტი, აკმაყოფილებდა ევროკავშირის სტანდარტებს და აპირებდა თანხის ჩადებას კოლეჯ ჯორჯიაში, რაც გაამყარებდა მათ ფინანსურ მდგომარეობას,

თუმცა ამისთვის, ბალტიის აკადემია ელოდებოდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის შედეგებს, შესაბამისად იმყოფებოდნენ შეთანხმების პროცესში.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ალბათობის თეორიისა და სტატისტიკის კურსების დამატების შესახებ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ იზიარებდნენ მოსაზრებას და შეიტანდნენ ორივე კურსს სავალდებულოდ, მით უმეტეს, იმ პირობებში, როდესაც მჭიდრო თანამშრომლობა ჰქონდათ სტატისტიკის დეპარტამენტთან.

საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ ზოგადი ჩანაწერი ჰქონდათ იმასთან დაკავშირებით, რომ პროგრამით გათვალისწინებული ყველა კურსი უნდა ჰქონოდა სტუდენტს ჩაბარებული საბაკალავრო ნაშრომის არჩევამდე, და ეს ჩანაწერი დაზუსტდებოდა. ექსპერტების რეკომენდაციით, საჭირო იყო გამოყოფილიყო სავალდებულო საგნები, რაც მისაღები იყო უნივერსიტეტის წარმომადგენლებისთვის.

ირაკლი ბურდულმა კითხვით მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, თუ მოხდა საჭირო საგნების იდენტიფიცირება.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა დაუდასტურეს, რომ პროგრამის მიხედვით 120 კრედიტი იყო სავალდებულო სპეციალობისთვის, რაც წარმოადგენდა საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობას.

ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ჰქონდათ პარტნიორ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის სამწლიანი პრაქტიკა, თუმცა ამ ეტაპზე ეს შემოიფარგლებოდა პროფესორის მონაწილეობით სამეცნიერო კონფერენციებში. ორჯერ ჩატარდა დაწესებულებაში ასეთი კონფერენცია, სადაც ბალტიის აკადემიის პროფესორაც იღებდა მონაწილეობას. ასევე, აპირებდნენ ორი სტუდენტის გაგზავნას აღნიშნულ დაწესებულებაში გაზაფხულის სემესტრში. გარდა ამისა, იყო შესაძლებლობა, გაეგზავნათ პროფესორა რუსულენოვანი ლექციების ჩასატარებლად.

აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე ეტაპისთვის ჰყავდათ 18 აკადემიური და 7 მოწვეული პირი. ასევე, ჩატარდა კონკურსი და დაამატეს 4 აფილირებული პროფესორი.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა აღნიშნა, რომ საბჭო ვერ გაითვალისწინებდა ვიზიტის შემდგომ შეტანილ ცვლილებებს და ეყრდნობოდა თვითშეფასების ანგარიშში მოყვანილ მონაცემებს. მან კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რამდენი აფილირებული პროფესორი ჰყავდათ უშუალოდ ბიზნესის დარგში.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ძირითადად ეკონომიკაში ჰქონდათ დაცული პროფესორებს ხარისხი, ერთს ჰქონდა ბიზნესში თუმცა დაამატა, რომ ადრე ცალკე ბიზნესის ადმინისტრირებაში არ ხდებოდა ხარისხის მინიჭება და ამის გამო ჰქონდათ ხარისხი უმრავლესობას ეკონომიკაში. მან დაამატა, რომ არ იყო სწორი დიდი ზღვარის გავლება ეკონომიკასა და ბიზნესს შორის, რადგან არცერთი საკითხი არ იყო ერთ დარგში, რაც მეორესთვის არ იყო საინტერესო.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა დაუდასტურა, რომ 20 წლის წინ მხოლოდ ეკონომიკაში შეიძლებოდა ხარისხის მიღება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს არ ეხებოდა ძალიან ძველ თაობას და დიდი ხანი არ იყო გასული მას შემდეგ, რაც ბიზნესი ცალკე გამოვიდა. მან დაამატა, რომ

როდესაც მუშაობდნენ ახალ პროგრამაზე, გაითვალისწინეს პარტნიორი უნივერსიტეტის პროგრამა, რომლის მიხედვითაც, ყველა საგანს ჰქონდა მინიჭებული 5 კრედიტი, იგივე პრაქტიკა გადმოიტანეს კოლეჯში, რადგან არსებობდა ორმაგი ხარისხის მინიჭების პერსპექტივა და საჭირო იყო ანალოგიური დატვირთვა ჰქონოდა ორივე პროგრამას.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ სილაბუსებიდან არ ჩანდა უცხოური ლიტერატურის გამოყენება.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ბიბლიოთეკაში ჰქონდათ უცხოენოვანი ლიტერატურა. ასევე, ბალტიის აკადემია იყო მზად, გადმოეცა თავისი სახელმძღვანელოები ავტორიზაცია/აკრედიტაციის პროცესების დასრულების შემდეგ.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ ლიტერატურის გადმოცემის შემთხვევაში, მარტივად და უცებ ვერ მოხდებოდა უცხოენოვანი ლიტერატურის ინტეგრირება სილაბუსებში.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სტუდენტების ცოდნის დონე არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ უცხო ენაზე შესძლებოდათ ამ მოცულობის მასალის დამუშავება. მან დაამატა, რომ დამსაქმებლების მოთხოვნით, გააძლიერეს უცხო ენის კომპონენტი და დაეთმო 20 კრედიტი. გარდა ამისა, პროფესურა რიდერებს აკეთებდა ქართულ ენაზე უცხოენოვან სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით და თანხაც იყო გამოყოფილი ლიტერატურის შესაძენად.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა გაეკეთებინათ კომენტარი რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა სწავლის შედეგების ფორმულირებასა და მიზნების თანხვედრას რამდენიმე სილაბუსში.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ 2 კურსში იყო ერთი და იგივე მიზანი, რაც ტექნიკურ შეცდომას წარმოადგენდა და გასწორდა ვიზიტის დროსვე.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო, ბიზნესის საფუძვლების კურსში ფინანსებისა და აღრიცხვის საკითხებიც ყოფილიყო წარმოდგენილი. მართალია კურსში კარგად იყო წარმოდგენილი საკითხები ბიზნესზე მოქმედ გარემო ფაქტორებზე და მის ანალიზზე, სამართლებრივ ფორმებზე, მარკეტინგზე მაგრამ არ იყო ფინანსების და აღრიცხვის საკითხები. საგანი უნდა იყოს ერთგვარი გზამკვლევი სპეციალობაში და შეუქმნას სტუდენტს კომპლექსური ხედვა ბიზნესზე. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსების საკითხის შესწავლას კურსულუმში ჰქონდა დათმობილი 25 კრედიტი, საჭირო იყო მენეჯერული აღრიცხვის ცალკე საგნად ან საკითხების დამატება. გარდა ამისა, მიზანშეწონილი იქნებოდა კორპორაციული ფინანსებისა და ფინანსური მენეჯმენტის გაერთიანება ან შინაარსის გადახედვა და ოპტიმიზაცია, რადგან ერთნაირი კურსები იყო. ასევე უნდა გამახვილებულიყო ყურადღება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა დისკოტირებული ქეშფლოუ, კაპიტალის ღირებულების შეფასება და მსგავსი საკითხები. გიორგი თურქიამ დაამატა, რომ სილაბუსში ნახსენები იყო „ფულის ფასი დროში“ რაც უნდა ჩასწორებულიყო და გამოეყენებინათ ტერმინი „ფულის ღირებულება დროში“.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აპირებდნენ პროგრამის მოდიფიცირებას და გაითვალისწინებდნენ აღნიშნულ რეკომენდაციებს, თუმცა, როგორც ახსოვდა, ფინანსური ნაწილი გათვალისწინებული იყო დასახელებულ სილაბუსში.

საბჭოს წევრი, პაატა ბრეკაშვილი დაინტერესდა რა ლოგიკას მიყვებოდნენ პროგრამის სტრუქტურის შემუშავებისას და როგორ ხდებოდა პრერეკვიზიტების დადგენა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ხდებოდა დაინტერესებული პირების აზრის გათვალისწინება, მაგალითად დამსაქმებლების მხრიდან იყო რეკომენდაცია უცხო ენის კომპონენტის გაძლიერებასა და სტატისტიკის საგნების დამატებასთან დაკავშირებით, ხოლო სტუდენტებს სურდათ თავისუფალი საგნების გამრავალფეროვნება და დაემატა ახალი კურსი - კრიტიკული აზროვნების საფუძვლები.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა იკითხა აკადემიური პერსონალის მხრიდან რა რეკომენდაციები მიიღეს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათი რჩევით, ორგანიზაციული ქცევის საფუძვლებში აქცენტები გადავიდა ინტერდისციპლინარულ მიდგომებსა და ბიჰევიორისტულ ასპექტებზე სამეწარმეო ურთიერთობებში. ასევე, ევროკავშირთან ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის სტანდარტებიდან გამომდინარე, დაემატა ახალი კურსი - კორპორაციულ ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა.

საბჭოს წევრი, პაატა ბრეკაშვილი დაინტერესდა პრერეკვიზიტების შემუშავების მექანიზმს რა წარმოადგენდა, რადგან მისი მოსაზრებით, წინაპირობებში დასახელებული საგნები იმეორებდა საკითხებსა და თემებს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პრერეკვიზიტების დადგენა ხდებოდა ჯგუფური მუშაობის შედეგად.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ იყო ბევრი ნიუანსი, გადაფარვები და ასევე და ბევრი რამ აკლდა პროგრამას. პრერეკვიზიტებში განმეორებული იყო იგივე თემები. მაგალითად, ორგანიზაციულ ქცევაში ასწავლიდნენ მოტივაციას, სტრესს და იგივე საკითხები იგივე ლიტერატურით გვხვდებოდა სხვა 3-4 საგანში, რომლებიც ასევე ერთმანეთის წინაპირობებს წარმოადგენდნენ.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ შესაძლოა სათაურები ყოფილიყო იგივე, თუმცა თანდათან გაღრმავდებოდა თემები და სხვადასხვა ასპექტიდან განიხილავდნენ - ბიზნესის საფუძვლებში ზოგად პრინციპებს, ხოლო ორგანიზაციულ ქცევაში ეკონომიკური კუთხით.

საბჭოს წევრი, პაატა ბრეკაშვილი არ დაეთანხმა უნივერსიტეტის წარმომადგენელს, იქიდან გამომდინარე, რომ სილაბუსებში არამარტო თემები, არამედ საკითხები და მითითებული სახელმძღვანელოებიც მეორდებოდა, სხვა განსხვავებები სილაბუსებში არ ჩანდა.

16:13 საათზე საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა. სხდომა განახლდა - 16:57 საათზე.

საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ წარმოდგენილი სააკრედიტაციო მასალების, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებისა და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა არ აკმაყოფილებდა აკრედიტაციის მე-2 სტანდარტის მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიას ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 10

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიას ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

17:00 საათზე სხდომა დატოვა თეო ურუშაძემ.

17:15 სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრები გაიანე სიმონია და ნატო გენგიური.

3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო დასახელება	პროგრამის	მათემატიკა
განათლების საფეხური		ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კვალიფიკაცია	მათემატიკის ბაკალავრი 0501
სწავლების ენა		ქართული
კრედიტების რაოდენობა		240

საბჭოს წევრებმა, გიორგი ქვარცხავამ და ირინა გოცირიძემ განსახილველ საკითხთან მიმართებით განაცხადეს თვითაცილება, ვინაიდან საქმიანობდნენ აკრედიტაციის მამიებელ უნივერსიტეტში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს მოახსენა, რომ საბჭო იცნობდა მათ დასკვნას, მასში ასახულ რეკომენდაციებს და ჰკითხა, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება პროგრამის შესახებ.

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ განსახილველი პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი ანზორ ბერიძე ტელეფონის საშუალებით ჩაერთვებოდა და გააცნობდა საბჭოს რეკომენდაციებს.

ექსპერტმა საბჭოს გააცნო შემდეგი რეკომენდაციები:

- ინსტიტუციურ დონეზე შემუშავებული იქნას აკადემიური პერსონალის შეფასების სისტემა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მათი როგორც სასწავლო, ასევე კვლევითი საქმიანობის შეფასება;
- საუნივერსიტეტო დონეზე შეიქმნას საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდება მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა;

- სტუდენტებს მიეცეთ საშუალება ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით, ასევე, ჩაერთონ საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში;
- დაიხვეწოს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც დაფუძნებული იქნება „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“ პრინციპზე;
- დაიხვეწოს პროგრამის მონიტორინგი, პერიოდული შეფასებისა და მისი გამოყენების მექანიზმები.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ეთანხმებოდა გაწეულ რეკომენდაციებსა და რჩევებს.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ იკითხა დაწესებულების წარმომადგენელთა აზრი იმასთან დაკავშირებით, თუ სად დასაქმდებოდნენ მათი კურსდამთავრებულები.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამაში უშუალოდ იყო გაწერილი პოტენციური დასაქმების სფეროები, რომლებიც მოითხოვენ ანალიტიკურ აზროვნებას, მათემატიკური მოდელების ჩამოყალიბებას და შედეგებზე დასკვნების გაკეთებას.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა იკითხა, თუ რამდენ პირველკურსელ სტუდენტს იღებდნენ პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ იღებდნენ 50 სტუდენტს.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა იკითხა, ხდებოდა თუ არა დაფაზე დაწერა ლექციების პერიოდში.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ იყენებდნენ დაფებსაც, თუმცა ეკრანზე გამკვეთების საშუალებებიც არსებობდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა აღნიშნა, რომ მოცემული იყო რეკომენდაცია, რომ საერთაშორისო მობილობით სარგებლობის საშუალება მისცემოდათ. მან აღნიშნა, რომ გამოცდილებით იცოდა, რომ საუბარი იყო დიდ უნივერსიტეტზე, რომელსაც არ უნდა ჰქონოდა პრობლემა მოცემული მიმართულებით და იკითხა, თუ რატომ გაიცა ეს რეკომენდაცია ექსპერტთა მხრიდან.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ არსებობს მემორანდუმები საერთაშორისო აქტორებთან, თუმცა ასევე ახსენა, რომ ინტერვიუს დროს სტუდენტების მხრიდან გამოიკვეთა ის, რომ მათ არ აქვთ ინტერესი და საშუალება, რათა მიიღონ საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობა. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს მოტივაციის ამაღლება, გააძლიეროს ურთიერთობა სტუდენტებთან და ჩართოს ხსენებულ პროცესებში უფრო აქტიურად.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა აღნიშნა, რომ ეს უფრო რჩევა უნდა ყოფილიყო, ვიდრე რეკომენდაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა სულ 2 წელი იყო რაც ფუნქციონირებდა უნივერსიტეტში და დაწესებულება ყოველთვის ცდილობდა მეტად ჩართო საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტები და მისი თქმით, ამ საფეხურებზე საერთაშორისო აქტორებთან ურთიერთობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი იყო. მან ასევე აღნიშნა, რომ ზოგჯერ სტუდენტებს აქვთ ენობრივი ბარიერიც.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა შენიშნა, რომ შეიცვალა შეფასების სისტემა და დაემატა დასწრების კომპონენტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს კომპონენტი დაემატა სტატისტიკის აღსარიცხავად, თუ რამდენი ადამიანი დადის ლექციებზე, თუმცა ეს შეფასებაში არ იყო გათვალისწინებული.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა შენიშნა, რომ დიდ დროს წაიღებდა სიის ამოკითხვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სიის ამოკითხვას არ მიჰქონდა დიდი დრო.

საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ წარმოდგენილი სააკრედიტაციო მასალების, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებისა და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა სრულ შესაბამისობაში იყო აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტთან. ასევე, საბჭომ აღნიშნა, რომ ვინაიდან პროგრამას აკრედიტაციის ვადა ეწურებოდა 2018 წლის 15 ოქტომბერს, საბჭო აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად მიუთითებდა 2018 წლის 15 ოქტომბერს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 და მე-3¹ პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2018 წლის 15 ოქტომბრიდან.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა ელიზბარ ელიზბარაშვილი. საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა. შესაბამისად, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ელიზბარ ელიზბარაშვილი.

4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი 02
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ განსახილველ საკითხთან მიმართებით განაცხადა თვითაცილება, ვინაიდან საქმიანობდა აკრედიტაციის მამდიებელ უნივერსიტეტში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტებს მოახსენა, რომ საბჭო იცნობდა მათ დასკვნას, მასში ასახულ რეკომენდაციებს და ჰკითხა, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება პროგრამის შესახებ.

განსახილველი პროგრამის შემფასებელ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე იყო საერთაშორისო ექსპერტი, ტატიანა ვოლკოვა, რომელიც ვერ ახერხებდა სხდომაზე ჩართვას, შესაბამისად მის ნაცვლად საბჭოს რეკომენდაციებს გააცნობდა ექსპერტი, გოჩა თუთბერიძე. ექსპერტმა საბჭოს გააცნო შემდეგი რეკომენდაციები:

- დაწესებულებამ ნათლად უნდა განსაზღვროს საერთო ჯამში პროგრამის დანიშნულება. პროგრამის მიზანი უნდა იყოს მაღალკვალიფიციური მკვლევარის მომზადება (და არა მხოლოდ პროფესიონალის) მენეჯმენტის მეცნიერებაში;

- უზრუნველყოს მიზნის უკეთ დაკავშირება უნივერსიტეტის მისიასთან და ინტერნაციონალიზაციის ასპექტების უზრუნველყოფა პროგრამის მიზანში;
- უზრუნველყოფილი უნდა იქნეს დასაქმების ბაზარის შესახებ კურსდამთავრებულებთან კომუნიკაციის თანამიმდევრულობა;
- უზრუნველყოფილ იქნეს სწავლის შედეგების შესაბამისობა აკადემიურ სადოქტორო პროგრამის მიზანთან;
- შემცირდეს სწავლის შედეგების რაოდენობა როგორც პროგრამის, ისე კურსების დონეზე;
- შემუშავდეს სწავლის შედეგები სადოქტორო ნაშრომისათვის;
- პროგრამის განვითარებისათვის უზრუნველყოფილ იქნეს სწავლის შედეგების შეფასების ციკლის ეფექტიანობა და ეფექტურობა და სტუდენტთათვის გამოხმაურების მიწოდება მათი სწავლის მიღწევების შესახებ;
- სასწავლო პროგრამას უნდა დაემატოს 6-კრედიტიანი აკადემიური კურსი იმისათვის, რომ საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების რაოდენობა დაემთხვეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიერ უმაღლესი განათლების მესამე ციკლისათვის დადგენილ კრედიტების რაოდენობას (180 კრედიტი);
- იმისათვის, რომ პროგრამა გახდეს თანამიმდევრული და ლოგიკური, პირველ სემესტრში კურსი „კვლევის მეთოდოლოგია“ უნდა იქნეს შეთავაზებული „სადოქტორო სემინარი 1“-ის წინაპირობა;
- უზრუნველყოფილ იქნეს აკადემიური კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის მიერ განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან;
- კურსების „დროითი მწკრივების მონაცემების ანალიზი EViews-ში“, „ხარისხობრივი მონაცემების ანალიზი Nvivo პროგრამით“, „პანელური მონაცემების ანალიზი EViews-ში“ ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა უნდა იქნეს განახლებული;
- უზრუნველყოფილ იქნეს აკადემიური პერსონალის ტრენინგი რეგულარულ საფუძველზე პროგრამის სწავლის შედეგებსა და მათ მიღწევაში, საკითხების გაზომვა/შეფასებაში;
- შიდა ხარისხი უზრუნველყოფილ უნდა იქნეს უფრო სისტემურ და სისტემატურ დონეზე, რადგან მასში დევს ექსპერტული ცოდნა, მაგრამ პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებაში დახმარებისათვის იგი საჭიროებს რომ იყოს გაზიარებული უკეთ სტრუქტურირებული გზით;
- უზრუნველყოფილ იქნეს ადმინისტრაციული პერსონალის ტრენინგი უმაღლეს განათლებაში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის თანამედროვე კონცეფციებთან დაკავშირებულ საკითხებზე, რათა შესაძლებელი გახდეს პროგრამის ხარისხის გაუმჯობესება და მისი შედეგების მონიტორინგი;

- პროგრამის შემდგომი ინტერნაციონალიზაციის უზრუნველყოფა, რითაც მოხდება კულტურათაშორის გარემოში ფუნქციონირების უნარის დემონსტრირება;
- შემუშავდეს პროგრამის განვითარების მიზნები და სათანადო სამოქმედო გეგმა, რათა შეფასება და მონიტორინგი გახდეს უფრო ეფექტური.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა 6 კრედიტის დამატების საკითხზე იკითხა თუ აკლდა ის ძველ დოქტორანტებს და დაიცვეს თუ არა მათ დისერტაცია ამ კრედიტების აღების გარეშე.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამაზე არსებობდა 3 სახის კურსები: სავალდებულო, არჩევითი და სავალდებულო არჩევითი, რომლებიც საერთო ჯამში მოიცავდა 60 კრედიტს, 120 კრედიტი კი იყო კვლევით კომპონენტზე, რაც საბოლოოდ ქმნიდა 180 კრედიტს. სავალდებულო საგნები მოიცავდა 48 კრედიტს და ისინი იყო შემდეგი: სადოქტორო სემინარი 1,2; კურიკულუმის განვითარება და სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში; ასისტირება 1,2; აკადემიური წერა პუბლიკაციისათვის; კვლევითი სემინარი 1,2. რაც შეეხებოდა სავალდებულო არჩევით კურსებს, ამ ბლოკში მოცემული იყო 3 კურსი, კერძოდ: პანელური მონაცემების ანალიზი, დროითი მწკრივების მონაცემების ანალიზი და თვისებრივი მონაცემების ანალიზი. დოქტორანტს აუცილებლად უნდა აერჩა ერთ-ერთი შემოთავაზებული 3 კურსიდან. ამას გარდა რჩებოდა 6 არჩევითი კრედიტი, რომლისთვისაც დოქტორანტს ჰქონდა შესაძლებლობა აეღო რომელიმე სხვა კურსი სავალდებულო-არჩევითი კურსებიდან ან გაეგლო ასისტირება 3 ან კვლევითი სემინარი 3. მან აღნიშნა, რომ კურსები იყო გაწერილი თანმიმდევრულად და ოფიციალურად ამის ნახვა შეიძლებოდა პროგრამის კურიკულუმში. ჩანაფიქრი იყო ის, რომ კურიკულუმში არ ყოფილიყო ხისტი და სტუდენტს ჰქონოდათ ვარიანტების საშუალება.

ექსპერტმა შენიშნა, რომ პროგრამაში ეს არ ჩანდა ცხადად.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამის დოკუმენტში ხაზი ჰქონდა გასმული იმ გარემოებას, რომ სტუდენტმა აუცილებლად უნდა დააგროვოს 180 კრედიტი.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გარკვევით უნდა ჩანდეს პროგრამაში, თუ როგორ ხდება 180 კრედიტის დაგროვება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ითვალისწინებდნენ რეკომენდაციას სწავლის შედეგების შემცირების შესახებ. აკადემიური პერსონალის ტრენინგის შესახებ მან შენიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა ტრენინგების მოდული, რომელიც ემსახურება სწავლის შედეგების ჩამოყალიბებასა და შეფასებას. მისი თქმით ეს ტრენინგები ეფუძნებოდა „აბეტის“ მოდელს. ინტერნაციონალიზაციის საკითხზე მან აღნიშნა, რომ პროგრამა ითვალისწინებდა დასრულების წინაპირობად საერთაშორისო ჟურნალში სტატიის გამოქვეყნების წინაპირობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიზანთან დაკავშირებით თარგმანში იყო უზუსტობა, რადგან ერთმანეთის ადგილას იყო გამოყენებული ტერმინები პროფესიონალი და მკვლევარი.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა აღნიშნა, რომ მიზანში ყველაზე მთავარი ამ შემთხვევაში უნდა იყოს ის, რომ პროგრამა მიზნად ისახავდეს მკვლევარის აღზრდას, მიზნის ჩამოყალიბება კი პროგრამას ისე შეეძლო როგორც მის მესვეურებს სურდათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შენიშვნა არსებობდა დასაქმების სფეროს დაკონკრეტებასთან დაკავშირებით, რასაც დაწესებულება არ ეთანხმებოდა, რადგან განიხილავდნენ, რომ პროგრამის კურსდამთავრებულს უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა დასაქმებულიყო ფართო სპექტრის სფეროებში.

სხდომის თავმჯდომარემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამაზე დასაქმებაზე ორიენტირება არ მიაჩნდა ლოგიკურად.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათი კურსდამთავრებულების უმრავლესობა იყო მათივე აკადემიური პერსონალის წევრი და შენიშნა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ამ საკითხში ის იყო, რომ ისინი ელოდნენ კვლევით შედეგებს პროგრამიდან.

დაწესებულების წარმომადგენელმა, რომელიც ამ პროგრამის კურსდამთავრებული იყო აღნიშნა, რომ პროგრამაში დიდწილად იყვნენ ჩართულები პრაქტიკოსებიც ბიზნეს-სფეროდან, რაც დადებით გავლენას ახდენდა პროგრამაზე.

სხდომის თავმჯდომარემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა შენიშნა, რომ მისთვის გაუგებარი რჩებოდა ის, თუ რატომ იყო ყველა საგანი 6 კრედიტიანი და აღნიშნა, რომ შეიძლებოდა მგირფასი კრედიტები იხარჯებოდა უმიზნოდ.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სასწავლო კურსების შინაარსთან არ ყოფილა შენიშვნა, რადგან მათ დადებითად აფასებდნენ. ასევე, მან აღნიშნა, რომ სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ გამოეყენებინათ კომპიუტერული პროგრამები.

საბჭოს წევრი, პაატა ბრეკაშვილი დაინტერესდა იმით, თუ რატომ დაეთანხმა დაწესებულება რეკომენდაციას სწავლის შედეგების შემცირებასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ზოგადად, დღევანდელი ტენდენციების მიხედვით პროგრამაში რაც ნაკლები სასწავლო შედეგია, მით უფრო შესაძლებელია ამ შედეგებზე გასვლა და უპრიანია სულ რამდენიმე შედეგის არსებობა, რომელიც იქნება უფრო დიდი მნიშვნელობისა.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა აღნიშნა, რომ ესმოდა ლოგიკა, თუმცა მოცემულ შემთხვევაში დაწესებულების ადგილას არ დაეთანხმებოდა ექსპერტთა რეკომენდაციას და ჰკითხა, თუ რომელ შედეგს ამოიღებდნენ ისინი საჭიროების შემთხვევაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამა განსაკუთრებულია, რადგან აქვს 6 ტიპის შედეგი. მათი ამოღება გართულებოდა, თუმცა შესაძლებელი იქნებოდა ზოგიერთი შედეგის მეტად გამსხვილება.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა აღნიშნა, რომ მათ მიერ მოცემული სწავლის შედეგები იყო ნამდვილად მისაღები და ექსპერტების პოზიციაზე დათანხმება გაუგებარი იყო მისთვის. მან ასევე აღნიშნა, რომ არსებული მოცემულობითა და სტრუქტურით, დისერტაციის თემატიკის მიხედვით დოქტორანტს შეიძლება არ დასჭირვებოდა თვისებრივი კვლევის მეთოდები და ასეთ შემთხვევაში იგი საერთოდ არ ისწავლიდა მას. ასევე, მან აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში თუ დოქტორანტი მუშაობს მარკეტინგში და შეისწავლის მომხმარებლებს, მას უფრო ფსიქომეტრიკა შეიძლება დასჭირდეს ვიდრე ეკონომეტრიკა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტისას იყო დისკუსია ამ საკითხებზე, რათა არ შექმნილიყო პრაქტიკაში პრობლემა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მეთოდოლოგიურ კურსებს დოქტორანტები იღებენ იმის მიხედვით, თუ რა სახის მონაცემების კვლევას აპირებენ. მან ასევე აღნიშნა, რომ აუცილებელია პროგრამაზე შემოსასვლელად კვლევითი განაცხადის გაკეთებაც, სადაც უნდა იყოს ახსნილი თუ რის კვლევას აპირებს დოქტორანტი და მუშაობა მიდიოდა შემდეგ იმ თემატიკის დოქტორანტებთან, რისი კომპეტენციაც არსებობდა თავად პროგრამის პერსონალში. ასევე, ჰქონდათ რესურსები, რომ დამატებით გაეწიათ სტუდენტებისთვის დახმარება.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა სხვა მიმართულებებიდანაც აიღონ საჭირო საგნები.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა აღნიშნა, რომ უკეთესი იქნებოდა, თუკი საჯაროდაც ხელმისაწვდომი იქნებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ხდება ფილტრაცია საკითხების მიხედვით.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამაზე ჩარიცხვამდე პოტენციური სტუდენტები უთანხმდებოდნენ ხელმძღვანელს და შესაბამისად, თუკი არ იარსებებდა შესაძლებლობა თემატიკაზე მუშაობისა, განაცხადიც ვერ გაკეთდებოდა, ასევე მან აღნიშნა, რომ იყო შესაძლებლობა თანახელმძღვანელის აყვანისა პროგრამის თემატიკის მიხედვით.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა იკითხა, ხომ არ იქნებოდა უპრიანი სემინარებში თემატიკის წინასწარ გაწერა, რათა განაწილებულიყო სემინარის ჯგუფები.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სემინარები არ იყო სავალდებულოდ ჯგუფური და თემატიკის მიხედვით შეიძლებოდა ყოფილიყო ინდივიდუალურიც.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა საერთაშორისო ჟურნალში სტატიის გამოქვეყნების საკითხის შესახებ იკითხა, ხომ არ გაუგრძელებდა ეს ვალდებულება დოქტორანტებს სწავლის დროს, რადგან ხშირად სტატიის მიღებასა და გამოქვეყნებას მაღალი კატეგორიის ჟურნალებში სჭირდებოდა მაღიან დიდი დრო, ხოლო თუკი სტუდენტი გამოაქვეყნებდა უფრო დაბალი

კატეგორიის ჟურნალში, მაშინ ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ნეგატიური გავლენის მქონე მათი აკადემიური კარიერისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამასთან დაკავშირებით არსებობდა არჩევანის თავისუფლება. ზოგს უღირდა მაღალი კატეგორიის ჟურნალში გამოქვეყნება და ამ პროცესში ერთი წლის დამატება. ზოგს კი შეიძლება უღირდეს უფრო დაბალი კატეგორიის ჟურნალში გამოქვეყნება და შეიძლება შემდეგ წავიდეს საზღვარგარეთ პოსტდოკზე.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა აღნიშნა, რომ ეს გავლენას იქონიებდა იმაზეც, თუ რა სახის პოსტდოკზე გააგრძელებდა სწავლას ეს უკანასკნელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 6 თვე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად.

თავმჯდომარე

ირაკლი ბურდული

ელიზბარ ელიზბარაშვილი

მდივანი

ლევან გორდეზიანი